

„მოგონება შორის“

(1947 წელი)

პიესა

ერთსართულიანი სახლის მოხრდილი სახაღი-
ლო ოთახი, წინ აივანი, და იქვე, ეზოში აფეხვებული
კარდნარი. ნატო, ასე 43 წლის ქალი, ბაღის ხე-
ლოთმანებობა და ბაღის მკარტლით ხელში, კარდ-
ებს შორის მიდი-მოდი, ზოგს შემკნარ ფოთლებსა
და დაფურცლულ ვარდებს აცლის, ზოგს შემხმარ
შტოს, ... ბუტონებსა და გაშლილ ვარდებს სიამით
აველებს თვალს, წამიერად ვიველ მათგანთან ჩერდება
და იღიმის, მერე იღებს თუნუქის სარწყავს და
იწყებს ვარდების რწყვას... სახლის რომელიღაც
ოთახიდან ისმის ვილინოს მკეთრი ხმა, ეტობა
მეცადინეობენ, ზოგჯერ პასაჟი რამდენჯერმე მორ-
დება... ბაღის სიღრმეში სამეზობლო კარი გარახუნ-
დება, ბილიკზე გაჩქარებით მიდის ბაბო, ასე 73
წლის თმაშვერცხლილი, სიმპატური, ჯოხზე დაფრ-
ნობილი მანდილოსანი, მას საშინაო ხალაო აცვია
ჩითისა; ამკარად ეტყობა, რომ შემფოთებულია, მოუს-
ვენრად იყურება აქეთ-იქით და ერთხელაც ისე ჩა-
ციებით აკვირდება ბაღის სიღრმეში რომელიღაც
ხეს, თითქოს ვიღაც უნდა დაინახოს ... ნატო თვალს
გააყოლებს ბაბოს და წამიერად შეიკრავს შუბლს,
მერე კი გაიღიმებს და ხალისიანად დაუძახებს:

ნატო: მობრძანდით, ბაბო, მობრძანდით, უკვე
გაისტუმრეთ პაციენტები?

ბაბო: (ცილილობს, არ შეიშინოს შემფოთება, ვით-
ომ გულის ვარჯიშს) მე შენთან საქმე არა მაქვს,
ქალი, მე რუსუდანითან შეველა...

ნატო: სახლში არ არის, დეიდა ელიჩკ-
ასთან გადავიდა, სამურაბე ვარდის ფურცელი
გადაუტანა, აი, ეს არის, ახლა წავიდა, თქვენ
რა ქვით, მოხარმეთ მურაბა?

ბაბო: არა, არა, ჯერ არ მომიხარმავს,
მაგრამ აუცილებლად მოვხარმავ! (როგორღაც
მტკიცად, ჯიუტად დაამატებს) აუცილებლად!

ნატო: დედას ძალიან კარგი გამოუვიდა.

ბაბო: მაშ არა და?! მეც ვიცი, მეც ვიცი
კარგი მურაბის მოხარმავა...

ნატო: შეხედეთ, ბაბო, რა დღეშია ჩვენი
ვარდები!?

ბაბო: ოჰ, შენა და შენი ვარდები... (არც
უყურებს ვარდებს, სახეს უხამოვნოდ შეიჭმუნის)
რუსიკო უკრავს და უკრავს?

ნატო: უკრავს, უკრავს, ჩვენ კი დავლით
ჩაი ვარდის მურაბით, ხომ იცით, გულისთვისაც
სარგოა.

ბაბო: რაღაც ძალიან აგრესიულს
უკრავს...

ნატო: გამოცდისთვის ემზადება, ღია კონ-
ცერტზე უნდა დაუკრას... [თან ისევ რწყავს]
უყვართ ვარდებს წყალი... და თურმე მოფერ-
ება და დავაგვებაც ჰყვარებიათ...

ბაბო: ოპოპოპო, რა შეუპოვრად უკრავს...
ნატო: არა, ბაბო, რას ამბობთ, უბრალოდ
ენერგიული ნაწარმოებია, პუნიანი-კრეისლერის
ინტროდუქცია და ალევრო.

ბაბო: ვის როგორ ... ვის როგორ ...
მახსოვს, შენც არ გინდოდა ვილინოზე შეგ-
ვევანა.

ნატო: პო, მე ფორტეპიანოზე ვფიქრობ-
დი... ახლა კი მიხარია... ვანოს საჩუქრად
დარჩა... (გულდაწყვეთი) მაშინ სულ უბრალო,
რიდინგის კონცერტს უკრავდა და ახლა ასეთ
როულ ნაწარმოებს ამზადებს...

ბაბო: მაგრამ მეტად შემტვევი რაღაცაა,
ნუთუ მუშაობაში ხელს არ გიშლის?

ნატო: არა, რას ამბობთ, მე ისე ვარ მიჩვეუ-
ლი რუსიკოს მეცადინეობას, მეწისჭვილესავე-
თ, სინემე უფრო შემიშლიდა ხელს, (დადამს
სარწყავს, მოაჯირთან მიდის და იბახის) რუსიკო,
გადი ფანჩატურში და იქ იმეცადინე! (ვილი-
ნოს ხმა წყდება, ნატო ისევ სარწყავს დაავლებს ხელს,
ბაბო თავის ქვეით გააყოლებს თვალს ნატოს... ახლა
უკვე სიღრმიდან მოისმის ვილინოს შედარებით ხმა-
აალი დაკრის ხმა).

ბაბო: (ვითომ ზუმრობით) ამდენი რწყვაც
რა ამბავია?! ნუ გადაწყვე ეს ახალგაზრდა

ქალი ამ ვარდებს... (მიბრუნდება და განზე წყავს, სახეობლო კარისკენ, გაუცაცულებით იყურება იქითკენ... შერე ისევ ბრუნდება ნატოსთან და ზათიანად, თითქოს საწყლად ამბობს) იქნებ ოთახში შევსულიყავით...

ნატო: ახლავე, ბაბო, ახლავე, ცოტაოდენი წყალიც დამრჩა... ახლახანს გამოვედი, ვუბნე-ქი, ვუბნეობდი და... (შეხედავს ბაბოს, რომელიც თავიწვლილი საღვაც გაიფურება) საით იყურებით, ბაბო, ნახეთ აქ რა ხდება, შეხედეთ, (უთითებს ერთით ვარდზე) მართლა ნამდვილი პრეზიდენ-ტია, ტყუილად კი არ ჰქვია ეს სახელი... ახლა კი ამას შეხედეთ, ეს ჩემი სიამაყეა, გლორია! დაწნოსეთ, თუ ზათი გაქვთ, რაღაც არაჩვეულებრივი, მქრქალი სურნელი, ჯოკონ-დას ღიძილივით, (ნატო ცდილობს, გაუგანტოს ბაბოს შემოთვალოს და გაართოს ვარდებით) ან იმას, იმას, ვარდისფერად რომაა აფეთქებული, ელიზაბეთს... (ბაბო უწოდებდა, მაშინაღორად ატრიალებს თავს აქეთ-იქეთ, ცდილობს, აყვეს ნატოს, შერე უსიამოვნოდ გაიჭყვს თავს და ლამის წყრომით ამბობს):

ბაბო: ოოჰ, აწყურში ჩვენი სახლი ხვი-არა ვარდების ვირლიანდებით იყო მოფენილი, ლამის სახურავამდე უწევდა, თან რა სურნე-ლი, რა სურნელი, დაიბნიდებოდა კაცი, ასე კი არა, ამ შენს ვარდებს არავითარი სურნელი არ გააჩნია...

ნატო: (წვეწოთ) რას ამბობთ, ბაბო, მართა-ლია, გლორიასა და ელიზაბეთს ნაზი სურნე-ლი აქვთ, მაგრამ ნახეთ ეს წითელი მოსკოვი რა სურნელს აფრქვევს!

ბაბო: (შეხედავს წითელი ვარდის აწვილ ბუ-ტონებს, უსიამოვნოდ შეიჭმუნის შუბლს) უჰ, როგორ თავხედურად აუწვლიათ ბუტონები ამ წითელ ვარდებს!

ნატო: თავხედურად კი არა, თავმომწონედ, გთხოვთ, ჩემი თვალთ შეხედოთ და დატკ-ბეთ! შერთმან კისლოვადსკიდან რომ ჩამოვი-ტანე, ნახეთ, როგორ აიყარა ტანი, და თან ისეთი მძაფრი სურნელი აქვს, ხვიარა ვარდ-ებს არც მოელანდებათ...

ბაბო: (მწყრალად) ბედნიერი ადამიანი ხარ, ბედნიერი, ასე შეგხარი ამ სიწითლეს!

ნატო: აბა, აბა, ჩემი ბედნიერება აღარსად ეტყვა, (იყინის) თქვენ კიდევ ნუ ურევთ წითელ ვარდს წითელ დროშასთან, ყველივებისნაირ სინაზეს ხომ არაფერი არ აღძრავს... Как не любить мне вас, цветы, я с вами выпил бы на ты...

ბაბო: (მოულოდნელად დაინტერესდება) ეგ ვისი სიტყვებია?

ნატო: ეხებინის ... ვანოს ხომ ჩაღრან უყვარდა პოეზია, და ამ ლექსსაც ამბობდა ხოლმე, Шуми левкой и резеда, С моей душой стряслась беда, Стряслась беда с моей душой, Шуми левкой и резеда... (ერთბამად სიტყვას გადაიტანს, თითქოს იმისთვის, რომ მოგონება ჩაახშოს) თანაც რომ იცოდეთ, ყველივები რამ-დენი რამის სიმბოლოს გამოხატავენ?! (დაღ-ვამს სარწმუნო, ხელთათმანებს წაიბრობს, მკრატლეს ხალათის ჯიბეში ჩაიღებს) დრო რომ მჭონდეს საქმარისი, დავედებოდი და დავაკვირდებოდი, როგორ იშლება ვარდები...

ბაბო: მე კი წითელი ვარდებიც კი მაფო-რიაქებს, მაფორიაქებს და რა ვქნა!? (ჯერ წყ-რომით, მაშინვე კი შვიცლის კეღოს, უწყლად აღმბუნ-ბა) ოჰ, დღერთო, არსად წასასვლელი აღარა ვარ... არსად... და რა ვქნა?

ნატო: კარგით რაა, ბაბო, ჩვენი და თქვე-ნი სახლი რამ გაყო? ჩვენა ვართ სხვაა, ჩვე-ნაა? (ხელს მოჰკიდებს, აიენისკენ მიჰყავს) გან-საკუთრებით ბავშვობაში ხომ თქვენს კაბი-ნეტში ყოფნას არაფერი მერჩია, ჩამოვედებო-დი და გატაცებით შემოგყურებდით, და ასე მეგონა, რაღაც ჯადოსნურ ილეთებში იყავით ჩართული, როგორ გქონდათ ხელები გაწვდილი, როგორ ატრიალებდით ბორ-მანქანას, როგორ სცვლიდით ბურდებს, როგორ უღებდით კბილ-ში პაკიეტს ბუნეს... და თან ისეთი სერიო-ზული, ჩაღრმავებული და ლამაზი იყავით, რაღაც გაფურჩქული, თვალს ვერ გამოვრე-ბდით...

ბაბო: (დამცინადად) გაფურჩქული ვარდი-ვით? ჰოო, სიმბოლოებით? ვითომ რა სიმ-ბოლოებია, რაო?

ნატო: ქრისტიანულ სიმბოლოებში წითე-ლი ვარდი ქრისტეს გოლგოთაზე დანთხეულ სისხლს გამოხატავს.

ბაბო: აი, ხედავ? ტყუილად არ მაფორი-აქებს ესე იგი...

ნატო: (სიცილით) ოოჰ, თქვენთან არაფრის თქმა არ შეიძლება, დამშვიდდით, სხვაგან კიდევ სიყვარულს გამოხატავს, და საერთოდ, ვარდ-ების ბალი სამოთხის სიმბოლოა, ახლა რაღას იტყვი?

ბაბო: რა კარგია, რომ თქვენს ბალს ქუ-ჩასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ჩემი ეზო ხომ ქუჩის გასწვრივ არის, ჩემი ოთახე-ბიც ქუჩაზე გადაღის, მაინცადამაინც მათ გასწვრივ და მათ პირდაპირ, და მე ვასოს შემდეგ სულ აღარ ჩავდივარ ბაღჩაში, სულ აღარ.

ნატო: კო, გუშინ გადმოვიხედე და ვიფიქრე კიდევ, ყაზარა ხომ არ გავუგზავნო მეთქი, ცოტა მოხელოს იქაურობას, ძია ვასოს ოლქანდრეტი მთლად ჩამომტკნარია, ფოთლუბზეც უანგი აქვს მოღებული.

ბაბო: თუ ღმერთი გვამს, ნუ მისაყვედურებ, რაც ასე გადამეკიდნენ, აღარაფრის ხალისი არა მაქვს! იყო სახლი, მშვენიერი სახლი, მშვენიერი ხალხით დასახლებული... სადღაა, სადღა...

ნატო: მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ბაბო, ჩვენ აქ დავიბადეთ და აქ ვცხოვრობთ, ამას არაფერი ეშუებება... (შეღანთთან, ნატო ფანჯარას სავარძელზე მთითებს ბაბოს, თვითონ სამზარეულოში გადის და სანამ შუბოვ, ბაბო სწრაფად კეტავს ფანჯარას, მიღის დარბაზში გამავალ კართან, გაფაციცებით გაიხედავს და დარბაზის კარსაც მიკეტავს, მერე სწრაფად ედგება საყარძელში, გახედავს ნატოს, რომელსაც სამზარეულოდან სამოვარი გამოაქვს, ბუხარში დგამს).

ნატო: მართლა, თქვენ ნასადილევი ხართ? (სამოვარში წყალს ახხამს ტოლიდან და ბუხრიდან ნახშირს ყრის.)

ბაბო: რუსუდანს შეინდის შეჭამანდი და ისპანახი გამოტანებინა რუსიკოსთვის. ხომ იცი, შეინდის შეჭამანდი გულს მაპოვინებს ხოლმე... თან ჩაისაც დავლევთ და...

ნატო: რა თქმა უნდა, ცოტა გვიან დუღდება ჩვენი სამოვარი, მაგრამ არაფერია, ჰოდა, ერთი კარგად ვინაიოთ. (ნატო მაგიდასთან მიღის, სადაც წიგნია გადაშლილი, ცალი თვალით ჩახედავს და დახურული წიგნს, დეკას და თითქოს არ იცის რა გააკეთოს).

ბაბო: (უცებ, აშკარა სასოწარკვეთით) მე რომ არა, შენ ახლა იმუშავებდი, რა საშინელებაა, იყო სახლი, მშვენიერი ხალხით დასახლებული... რა თქმა უნდა, იმუშავებდი.

ნატო: ხვალ ოპერაცია მაქვს, ვიფიქრე ჩავიხედავ წიგნში მეთქი, მაგრამ არაფერია, წელანაც კვითხულობდი, მოგვიანებითაც გადავხედავ, მართლა, მართლა, ბაბო, არაფერია...

ბაბო: როდემდე, როდემდე, გეკითხები, როდემდე?! რას გადამეკიდნენ, ნატო, რა უნდათ ჩემგან.

ნატო: (მკაცრად) თქვენგან პირველ რიგში თქვენს პაციენტებს უნდათ, ბაბო, თქვენს პაციენტებს, მთელი სიცოცხლე ბუხივით რომ გეხეკოდნენ!

ბაბო: მერე ასეთი ძნელი პროფესია მაინც არა მქონდეს, ძნელი და რთული, (ხუმრობით) შენსავით ჭრა-კერვა კი არ არის.

ნატო: რა თქმა უნდა, ქირურგობა ჭრა-კერვა და კბილები კიდევ ძნელზე ძნელია. (გულანად იცინის).

ბაბო: იცივე, იცინე და ორმოცდაათი წელია აი, ასე მიჭირავს ხელები, (წინ გაიწვიოს ხელებს) ისე დამოლია, ისე, ღამე სად წამელო აღარ ვიცოდი ხოლმე, და ორმოცდაათი წელი პირის ღრუში ყურება, როგორია? მერე ფესვები? თუ მითუმეტეს გამრუდებული ფესვები და ნერვები? სხვათა შორის, ადამიანის ორგანიზმში ყველაზე მგრძობიარე კბილის პულპაა აბაა! და კარონკების მორგება? და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვივადლო?! ზოგს მაინც ისეთი პირის ღრუ აქვს, ბუხრის მშემდგომად უნდა მიდიოდეს, და არა ჩემთან ... და შეიძლება ჩემი აფორიაქება და აღშფოთება, გეკითხები, ნატო, შეიძლება?!

ნატო: დამიჯერეთ, სულ ტყუილებრადღოვ იშფოთებთ თავს, ძალიან ვთხოვთ, იფიქრეთ თქვენს პაციენტებზე, თავის საქმეზე ფიქრი, საკუთარ საქმეებში ჩართვა ყოველთვის აწწარებს ადამიანს.

ბაბო: კარგი ერთი დაა! ჩავედი მალაზიაში სულ ცოტა ხნით, დავბრუნდი და ვველაფერი არეულ-დარეული დამხვდა, ლოგინი აშლილი, შიფონერის კარი გამოფრიალებული, ვასოსეული ის დიდი ფინჯანი გარდნებისა იარაღების კარადის თავზე შემოდებული ... რა არის ესა, გეკითხები, რაა, რაა!!

ნატო: ბაბო, ბაბო, მალაზია ხომ აქვეა, და წასვლა-წამოსვლაშიც დაინახავდით თქვენთან ვინმე რომ შესულიყო.

ბაბო: ვერ დავინახავდი, ვერაფრით ვერ დავინახავდი! უკან-უკან ხო არ დავიწყვებდი ყურებას, კისერი მომეღრვიჯა?

ნატო: განა არა, კლავა ძალიან წუხდა, მორიგეობა მქონდა დამატებითი და ბაბილინა მერაბოენასთან დღესაც ვერ მივდივარო, ხვალ კი ყოველ მიზეზ გარეშე მივალ და დავუწკრივალბ იქაურობასო.

ბაბო: ვიცი, ვიცი, იყო და გამაფრთხილა, მაგრამ რაა, კლავა დაალოგებს, ისინი ისევ მოეღენ და ყველაფერს აურდაურევენ, გაგონილი ამოდენა ჩხრეკა, გაგონილია!!

ნატო: ნულარ მიაქცევთ ყურადღებას, მოვა ხვალ კლავა და ძირისძირობამდე დაგილაგებთ სახლს, უთხარით ბაღჩასაც მიხედოს, ცოლია ოლქანდრეტი...

ბაბო: (მწყურვალად) შენ მგონი ადამიანზე მეტად ყვაილები გეცოდება! ვეღარაფრისთვის

გემო რო ვეღარ ჩამიტანებია, მიდი და ნუ მაქცევ ყურადღებას...

ნატ(ო): მტრების ჯიბრზე, ვარდისმურაბიან ჩაის კარგად უნდა ჩაატანოთ გემო, ვიცი კიდევ რომ ძალიან გიყვართ!

ბაბ(ო): კარგი ერთი შენცაა! მოვლენ, სახლს ძირს დასცემენ და შენს ნიფხებში იქეჭებიან, ეს არის საქმე?

ნატ(ო): (მოუსვენრად) ვის რად უნდა თქვენი ნიფხები, ბაბო, გეხვეწებით, დაფიქრდით. (წამოღრუბა, სამოვართან მიდის, სამზარეულოდან ფაფურის ჩაიდანი გამოაქვს და ჩაის კოლოფი.)

ბაბ(ო): მე არ ვამბობ, ნიფხები უნდათ მეთქი, თუმცა მე ძვირფასი ნიფხები მაქვს, წმინდა ბატისტისა, ბრიუსელის მაქმანებიანი.

ნატ(ო): ვიცი, ვიცი, რომ თქვენი სუსტი ადგილი ნიფხებში იყო. (იციხის)

ბაბ(ო): (ომახანად) სუსტი კი არა, ძლიერი, ქალო, ძლიერი. (ერთბაზად ისევ სასოწარკვეთით) მაგრამ ახლა აღარც ფლავია და აღარც ფსტანი.

ნატ(ო): ჰო, ძლიერი, ეს ერთი და იგივეა. ფსტანი კი ის არის, ბაბო, რომ კლავა ვერ მოვიდა, სახლი დასალაგებელია, თქვენ ბაცი-ენტი გყავდათ, წყალი მოგწყურდათ, ძია ვასოსეულ გარდნერის ფინჯანს არასდროს არ იშორებთ, დალიეთ წყალი და კარადაზე შემოღებთ იქვე, დამოჯერეთ, ეს არის და ესა, ამიტომ დამშვიდდით, გთხოვთ, (ცდილობს, როგორმე დაარწმუნოს, მიდის მასთან, ხელს გაუწვდის, ღამის ძალი აიღებს ბაბოს ხელს და მაგრად ართმევს) გეფიცებით რაც მეფიცება, ხომ იცით, მე ტყუილად არ ვბტყვით.

ბაბ(ო): (ძალიად გამოართმევს ხელს და გაიქვებს) ბევრიც რომ მეფიცო, ვერ დაგიჯერებ, პირველად ხომ არ მჩხრეკენ, შენ დაგიჯერო და საკუთარ თავს არაა!?

ნატ(ო): (ძლიერ იკავებს გალიზანას) ბოლოს-ბოლოს აღქმით და ჩაიჭიეთ ხელი, გჩხრიკონ და გჩხრიკონ, თქვენ ხომ არაფერი მოგიხაკ-ლისებიათ, არაა? რას ნახავენ? პლომბების ფხენილს? დარიშხანს? მიხაკის ზეთს? სპირტს? ნახონ და ნახონ, ისედაც ეცოდინებათ თქვენი ავლადიდების შესახებ... პროკლამაციებს ვერ ნახავენ და თოფი-იარაღს! დარწმუნებული ვარ, ღენთის საწყობიც, შინსაკომს აფეთქებას რომ უპირებთ, მოუკლველად ადგილას გექნებათ გადაძალულები, ჰოდა, დამშვიდდით!

ბაბ(ო): შენი მიკვირს და გამკვირვება, თქვენ გჭონდათ პროკლამაციები და ღენთის საწყო-

ბი, სახლი რომ ძირს დასცეს და ის მშვენიერი კაცი წაიფანეს, თან მთელი ყუთი ობლიგაციებისა გააყოლეს და მაშაშქნის ნძალი და ხანჯალიც...

ნატ(ო): მაშინ 37 წელი იყო, ბაბო, (მოუსვენრად მიდის სამოვართან), რა არის, არც კი შიშინებს...

ბაბ(ო): ვიცოდი, ვიცოდი, რომ ამას მეტყვოდი! გაეიწყვება, რომ ჩვენ მუდმივ ტერორში ვართ, ივრთწოდებულ პერმანენტულ ტერორში, იმბიტომ, რომ ჩვენ ვართ ყანალების ხელში და ყანალი ხან მეტად იყანალებს, ხან ნაკლებად, მაგრამ შეუძლებელია არ იყანალოს! შეუძლებელი!

ნატ(ო): (გაწამებული აჭოჩიით იყრება. აღარ იცის რა დღონოს) ბაბო, ვე იგივეა, სტიქიურ უბედურებაზე წინაწარ გავიხეთქით გული, აი, ვიცი, რომ კავკასიონი ახალი მთებია, და ჩვენ სეისმურ ზონაში ვიმყოფებით, მიწისძვრაზე ხომ არ ვიხეთქავთ გულს, არაა?! იაპონიაშიც კი, მიწისძვრების ქვეყანაში ხალხი მუშაობას აკლავს თავს, თქვენ კიდევ ბაცი-ენტებს უშვებთ, უშვებთ უწამლებლად, გთხოვთ, გეხვეწებით, ამოიღეთ თავიდან ეს ჩხრეკა, ამოიღეთ და მოისვენეთ, დაწყნარდით...

ბაბ(ო): ჰო, ჰო, ვუშვებ, ვუშვებ და რა ვქნაა, რა წყალში გადავკარდე?!

ნატ(ო): (ვითომ გახარებული) ბაბო, ბაბო, კინალამ დამავიწყდა, გუშინ ჩვენთან გადაწყვიტულმა კაბა მოიტანა, რუსიკოსთვის წამოვიღე, მაგრამ პატარა მოვიკადა, მაშინვე ის თქვა რუსიკომ, ეს დეიდა ბაბოს ექნება შესანიშნავად.

ბაბ(ო): (გამოცოცხლებლა) რა კაბაა?

ნატ(ო): ახლავე, ახლავე (მარბის მორე ოთახში და გამოიტანს ძალიან ღამაშ, ჭრული აბრეშუმის კაბას, რომელიც ვაშლით უჭირავს ორივე ხელში).

ბაბ(ო): (გაოგნებული უყურებს კაბას, ხელებს გაშლის) დიქტორო დიდებულო, (წამოღრუბა, ვეფრნათ აღმაშას ეგვებათ) ვარშავაში რომ ვსწავლობდი... ასეთი, ზუსტად ასე მოჩითული... ფერები, ვველაფერი... თანაც წმინდა აბრეშუმი... რა დამთხვევაა... პოლონელი კავალერი მყავდა, კენრიკ ზრფანოვსკი, გიყვებოდა, ისე მოეწონდი ამ კაბაში, ირგვლივ დაკეცილი იყო, სახელოებიც დაპლესილი ჰქონდა!

ნატ(ო): (მააღებს ბაბოს კაბას) ზუსტად მოგივიათ, მოდიტ ჩაიცოთ, ენახოთ ერთი!

ბაბ(ო): (იხდის ხალათს, ახალ კაბას გადაიცვამს, ნატო შველის, თურმე უკან დიდი გასახსნელი იყო და თავი არ ჩამოსდის) აფსუს, ვიწროა, ვიწრო!

ნატო: არა, არა, გასახსნელი ყოფილა, ნუ დღეღათ, აბა, ახლა ნახეთ!

ბაბო: (ჩაიკვამს, ხელს ისვამს, ისწორებს, იღიმება) გვერნებათ ჩემზე შეუკერიათო, (ხელებს ასწვეს-დასწვეს) სახელომბი მშვენიერად მაქვს, არსად არ მაჭერს, ჩემო ნატო, ჩემთვის მოგიტანი და ვე არის, აბა, შემომხედე უკან როგორ მადგას, ძალიან ხომ არა ვარ გამოკვალთული? (ტრიალებს)

ნატო: ვერ წარმოიდგენთ, რა კონტად გაქვთ, უკანიდან სულ შეღერებულ ახალგაზრდას ვავხარო, ისეთი ტანი გაქვთ...

ბაბო: პო, პო, უკანიდან პიონერი, წინიდან პენსიონერი. (იციან)

ნატო: პოო, მასხოვს მე ეს პენრიკი, თქვენ ხომ სურათი გაქვთ, რამდენჯერ გინჯვებით ჩემთვის, რაღაც ისეთ კოსტიუმშია გამოწვობილი, და ფუნჯიანი მაღალი ქუდი ახურავს.

ბაბო: რა თქმა უნდა, მეგლისზე ვიყავით და იმის შემდეგ არის გადაღებული, არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ და იმდენი ვიცეკვეთ, იმდენი...

ნატო: ვიცი, ვიცი, კრაკოვიაკს ცეკვავდით, ყოველთვის ისე მაინტერესებდა, როგორი ცეკვაა, მე და ვინო ხომ გატაცებული ვიყავით ცეკვით და რამდენს ვცეკვავდით, ტანგოს... ფოქს-ტროტს... ვალსს... რუმბას, და ასე განსაჯეთ, პოლკასაც კი, კრაკოვიაკი კი არასდროს გვიცეკვია, არც ვიცოდით, არადა ფირფიტა გვაქვს, გინდათ დაექოქო პატეფონი?

ბაბო: ოო, კრაკოვიაკი დიდებული ცეკვაა, როგორც პოლონელები ამბობენ "ტანკე ვილეკი", ესეი იგი დიდი ცეკვა... ოპ, რა მშვენიერი ბიჭი იყო ეს პენრიკი?

ნატო: (მიიბრუნს კუთხეში პატარა მრგვალ მაგიდასთან, რომელზეც პატეფონი დგას, გვერდით დახვეებული ფირფიტებით) ახლავე, ახლავე ვიპოვი ფირფიტას, გეხვეწებით, ბაბო, მარჯვენთ როგორი ცეკვაა, ისე მაინტერესებს...

ბაბო: სულ არ არის ძნელი, ორ თვლახეა, აი, უყურე... (იწყებს ცეკვას, თანდათანობით ეშში შდის, მერე ხელს მაიკიდებს ნატოს, ვერ ნელა აქვება ნატო, მერე კი მართლა გაახურებენ ცეკვას) ყოჩაღ, ყოჩაღ, ტყუილად ამბობდი, არ ვიცეო... აი, ასე... აი, ასე...

ნატო: (ცეკვა-ცეკვით მიდის ბუხრისკენ) აი, ჩვენი სამოვარიც შიშინებს...

ბაბო: (გაჩერდება შუა ოთახში, ხელებს ვაშლის) ოპ, ღმერთო, წარსული ყოველთვის დამუხტულია... ნატო, გენაცვა, წავალ, ჩემს დიდ სარკე-

ში ჩაიხედავ და ფულსაც გამოგიტან, რამდენად ჰყვინან?

ნატო: ოთხას მინეთად, ^{გაგრაპე სულ} მარტო არის საჩქარო, ხვალაც ამ თვისაა...

ბაბო: არა, არა, დოღვ პლატევიმ კრასენ, ახლავე გავალ და გამოვალ... (ჯოხს კი დაიჭერს, მაგრამ ჩქარჩქარა, ხუსხუსით მიდის.)

ნატო: (მარტოდ დარჩენილი უსასოოდ გაყოლებს თვალს ბაბოს) როდემდე... როდემდე... (თავისი ჩაწილან, რომელიც ფანჯრის რაფაზე იდო, კოლოფს ამოიღებს, ეტყობა წამალია, ფხვნილს კაპსულაში ჰჭრის, თან უსიამოვნოდ დასცქერის, წყალს ჩამოისხამს და დაღვს, ისევ ინახავს წამლიან კოლოფს, მერე სასრფოოდ გადაშლის წიფს და კითხულობს, თავს აიღებს, შორიდან ისმის ვოილანის ხმა, ყურს მიუდგებს) რა სასოებით მომიტანეს, რუსიკოსთვის აიღეო... კიდევ კარგი, ვერ მოვასწარი მეჩვენებინა... ამ უშოვნელობაში... მაგრამ რაკი ბაბოს მოეხსნა ეს შიში, აღარაფერს ეჩივი... ჯანდაბას... თუმცა რატომ ჯანდაბას, როგორ მოუხდებოდა რუსიკოს...

ბაბო: (ისმის ჯოხის კაკენი, შუბლის ბაბო, წარბ-შერული და ლამის განრისხებული) ნეტავი კი ვიცოდე, რა შეკაბება! სად არის ჩემი ხალათი, ჩაიცივა და ჩაიოიზრო! ახლავე უნდა გადავიცვა, ახლავე, დაგებრდი და გამოეტვინდი, იმ დროს როცა ის მშვენიერი სახლო... რა სახელი... ჯორჯაძეებისა, ჩვენიანებისა... მაინცდამაინც უნდა ჩამოერთმიათ და ვგენი ჩასახლებულიყვნენ, ეგ საშინელი დაწესებულება, გავედი, თუ არა, შემომეჭვიტა თვალებში... ქვეყანას რომ თავზარს სცემენ (თან იხდის კაბას და ვერ გაუხლა) ნატო, მიშველე, ქალო, ნეტა, რა შეკაბებოდა, რაა, რაა!! (ბრაზობს და წვალობს, უცებ ვერ ხდის კაბას, ბაბომ ლამის მოიგლოჯოს, მთელი ძალით შუაჯვრება)

ნატო: დაცადეთ, გაეხსნა ღილები, (როგორც იყო გახდის კაბას, მაწვედის ხალათს) თქვენზე ნაკლებად ჩვენ არ ეწუხდით, ლიტა და გიუნა ჩვენი მეგობრები იყვნენ, ერთად შეზრდილები ვიყავით, ერთადაც დახვრიტეს გიგი და გიუნა... რა გადავიტანეთ ჩვენ მაშინ, არ მინდა გახსენება, არა, თქვენ კიდევ აგიჩეუებით სახელი და სახლი...

ბაბო: ოპ, ღმერთო, სარკეში ჩახედავ ვერ მოვასწარი, ... პაციენტი მიცდიდა, ისიც გავისტუმრე, მაშ რა უნდა მექნა, რაა...

ნატო: (აღშოფოებით) ოოპ, თქვენ მე გამაგიყებთ! აპა, ჩაიხედეთ სარკეში და თმა გაისწორეთ... როგორ გაისტუმრეთ პაციენტი, როგორ, რა უფლება გაქვთ? ვინოს შემდეგ, ხომ გახ-

სოთ, მაგათი უფროსი რომ ჩაგვისახლეს თავისი ცოლ-შვილით, და მე ხელები უნდა ჩამომეშვა და თავზე ნაცარი წამეყარა?! ჩირად არ ვთვლიდი და ზედაც არ ვუყურებდი, ისიც ხომ გახსოვთ, ფული რომ მიხოვა აქედან წასვლისას, მამაჩემის ამწებულ სახლში... არც შეეპეუე და კაპიციც არ მივეცი! მართლაც და მართლაც, პროტესტიც ხომ არსებობს, აღმფრთხილებაც ხომ შეგიპყრობს და შიშს დაგავიწყებს?!

ბაბო: (დაცინით ჩაიქიჩლებს) ოპოპოპო, რა გმირთგმირი ხარ, და არ ეპუები მათ შინ დასამოქმედო კანონებს, თითო ბავშვიდან დაწყებული მიხრწინდი მოხუცამდე ყველა რომ შეუძლიათ შარში გახვიონ და დაადანაშაულონ... დარწმუნებული ვარ, ფიქრობენ, რომ ჩვენ გულში გველი გვიზის, არადა, სწორედაც გველი მიზის და ოპ, რა სიამოვნებით გავაცურებდი მაგათკენ, რომ ერთი კარგად დაეკინა და დაეგესლა ყველანი.

ნატო: კოლასი და მიტროს გამოკლებით... თქვენ ხომ იცით ჩემი დამოკიდებულება მაგ დაწესებულების მიმართ, მაგრამ ათასჯერაც შინსახკომელები რომ იყვნენ, მაინც შეზობლები არიან და სულ იციან, ჩვენთან ვინ მოდის, ვინ მიდის, რა მოაქვთ, რა მიაქვთ... მიტრო და კოლა კიდევ ისე გყავთ გაშინაურებული, ვანა თქვენ არ გაუკეთეთ ერთსაც და მეორესაც კბილები, ლამის უფასოდ?! გაგვეზავებინან ხოლმე ხან პურზე, ხან აფთიაქში. იმ დღეს კოლა დაზურგული მოდიოდა, ვტყობდა ბაზრიდან, რა სწორედ თქვენთან შემოვიდა... კრამიტების გასწორება იყო და, ყაზარას წელკაცი რომ ჰქონდა, ავიდა მიტრო და გაგისწორათ კრამიტები, და არაერთხელაც!...

ბაბო: (დაცინით და თავის ჭვეთი) ნატო, უბრალოდ გულუბრყვილო ხარ და თავსდატეხილმა აძღენმა უსამართლობამა და უბედურებამ ჭკუა ვერ გასწავლა! მთელი ჭკუა შენს ავადმჯობელებში და ოპერაციებში გაქვს წასული.

ნატო: (აწვეტივნის სიტყვას) ძალიანაც კარგი, ადამიანს ჭკუა თავის საქმეში უნდა ჰქონდეს წასული, და არა... და არა...

ბაბო: მათქმევინე, ქალო! თუ ის ეშმაკის ვეჯეტორი უბრძანებს, კოლა საკუთარ შვილს, დილოს, არ დაინდობს, ასეთია მაგათი კანონები. ჰოდა, თუ დილოსაც არ დაინდობს, მე ვინა ვარ და ვისი ტიტორმარა?!

ნატო: ჰო, ჰო, მე გულუბრყვილო ვარ, მაშინ ასე შევთანხმდეთ, როცა ეშმაკის ვეჯეტორი უბრძანებს და მიტრო და კოლა თავს დაგვესხმიან, გავგებანარავე, უბედურებას დაგვატეხენ თავს, ჩვენც მაშინ ვივაგლახოთ, მაშინ ჩავეკვიდეთ სასოწარკვეთაში, მაშინ არ გვეყოფა!? რომ წინასწარვე გული არ გავიხეთქით და თავი არ დავივადებოთ?! ჰოდა, ახლა თქვენი განგაში და შიში ყოვლად უსაფუძვლოა, ამაში მინდა დაგარწმუნოთ!

ბაბო: შენ ამბობ ამას, შენა? ჩვენს ქვეყანაში შიში თუ უსაფუძვლოა, რაღაა მაშინ საფუძვლიანი? იმ დროს, როცა ქვეყანა შიშზე დგას და ყველაზე საფუძვლიანი სწორედ შიშია! შიში, შიში, და ისევ და ისევ შიში! და ძრწოლაც, სხვათა შორის!

ნატო: მაპატიეთ, ბაბო, და კიდევ კარგი, მომაგონეთ, თორემ არ ვიცოდი?! მე სხვა რამეს გეუბნებით და თქვენ სხვა რამეს ამბობთ...

ბაბო: და თუ იცი, რაღატომ მამშვიდებ? რაღატომ გინდა დამარწმუნო, რომ არ უნდა მეშინოდეს? რატომ? როცა ვხედავ ჩემი ორი თვალით, როგორ მითვალთვალებს, რომ იცოდეს ეს გაბაწკრაზე უარესია, საშინელებაა, საშინელება, იცი, როგორ მითვალთვალებს ის ეშმაკის ვეჯეტორი? თვალს არ მაცილებს, წელანაც ისე ჩამტერებით მითვალთვალებდა, ავი გეუბნები, სარკში ჩახედავ ვერ მოვასწარი და ჰაციენტიც გავისტუმრე, და იმავე წამს გამოეთქეცო.

ნატო: შეაქცევდით ზურგს იმ ფანჯრებს, დაუწყებდით მკურნალობას და მაშინვე ჩაერთობოდით საქმეში, თქვენთვისაც კარგი იყო და ჰაციენტისთვისაც!

ბაბო: კარგი ერთი დაა, რა უნდა მექნა. როცა თვალებით მპურდავდა... ჩემისთანა სტომატოლოგს ეპატიება, ვანა ღრძილში ატაკოს ჰაციენტს ბორმანქანა და ღრძილი გადუნსეროს, ეპატიება? შენ არ იცი, რა საზიზღარი მზერა აქვს!

ნატო: (ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, მოსკოვიდან ვითვალთვალებდათ? თქვენ ამბობთ, რომ მოსკოვიდან აქ, თელავში ვითვალთვალებდათ?)

ბაბო: აი, სწორედ მოსკოვიდან მითვალთვალებს, და არ მესმის, ნატო, რა არის ამაში საკვირველი?!

ნატო: და მანცდამანც თქვენ ამოვინებ მათ? რომ იქედან აქ ვითვალთვალოთ!

ბაბო(: ოპ, როგორ არ მიყვარს ულოგიკო მსჯელობა! ამომიჩემა, ამომიჩემა! მთელი ქვეყანა ჰყავს ამოჩეხებული და მე რაა, ამ ქვეყანას არ ვეკუთვნი? და ახლა გაიგე, რომ ეს ქვეყანა თვალთვალისა და დასმენის ქვეყანაა?

ნატო(: და აქ გხედავთ? თანაც პენსნეთი! პენსნე მაინც არ ვკუთვნი?!

ბაბო(: აი, სწორედ პენსნეთი! რა გულუბრველო ხარ, ნატო, შენ გგონია პენსნე იმითომ უკეთია, რომ თვალთ აკლია, ან ბეცია? სრულებითაც არა! მე მივხვდი, ეს ერთგვარი ჭოგრითია, რაღაც უჩვეულო ჭოგრითი, მთელ ქვეყანაზე უნდა დაინახოს, სად რა ხდება, ვინ რითი სუნთქავს!

ნატო(: (ღამის ვადაფიონდეს) და ზის თავის კაბინეტში, ლუბიანკაზე და იქიდან გითვალთვალე?

ბაბო(: (უპირატესობის ღიმილით) რა თქმა უნდა, ნატო, ლუბიანკაზე კი არა, მთვარეზე რომ იჯდეს, ისეთი მანქანა აქვს, იქიდანაც დავეინახავს! ჩემი ორი თვალით მაინც არ ვხედავდი იმ საზიზღარ პენსნეს.

ნატო(: (გაგებრებული წამოხტება და შესახებას) ჯანდაბას იმისი თავი და ტანი, გვითვალთვალოს! რამდენიც უნდა და საიდანაც უნდა! (ბუფეტთან ასის და კვერცხები გამოაქვს, საშარეულიდან სათქვეფი მოაქვს) დაინახავს, რომ მე აი, აღადებისათვის კვერცხებს ვთქვეფავ! (კვერცხებს სულ ლაწალუს აუწუნებს) ჩვენ ვერაფრებით სურნელოვანი ჩაის დასალევად, ვბრაეღის ანდერძის მიხედვით! (ხსართი თქვეფავს კვერცხებს) გვითვალთვალოს! ბოლოს-ბოლოს ის კაცი ამ საქმეს დაადგა! (თქვეფავს, მაწონს ამატებს და რაც ძალი და ღონე აქვს თქვეფავს) აი, თქვენ შესანიშნავი სტომატოლოგი ხართ!

ბაბო(: ნუ გაწუწუე ქალო, აქაურობა! (შხეფებს იმშრალებს)

ნატო(: (გაგულისხმობ) ჩვენ ყველა ჩვენს საქმეს ვადგავართ, ის კაცი კიდევ მოთვალთვალე! ჩვენ ხომ ვერ ჩამოვაშორებთ ამ დიდ საქმეს! ჩვენ რა ძალგვიძღს, რა შვევიძღია! ორი აგურიც რომ დავიჭიროთ და აქეთ-იქიდან თავში ვიკეთო, ჩვენ იმას თვალთვალს ვერ მოვაშლევინებთ, ვერა, ვერა!! (ამატებს ფქვილს და ისევ თქვეფავს) ჩვენ კი არა, მთელმა ქვეყანამ რომ შეჭლადლოს!

ბაბო(: (ნატოს ვაგულისხმა ჩააცხრობს, ღამის ამოიკენებს) ოპ, ღმერთო, ადამიანი ვერსად ვერ მიპყვდებს თავს... არ გიფიქრია, ჩემო

ნატო, რომ პავიანის სახე აქვს?

ნატო(: მე უფრო შიშობხვს... მაგონებს, თავისი ახლოახლოს ჩამჯდარი თვალებით... აი, ასე, ვლანძლით, რაც ძალი და ღონე გვაქვს, მაღლობა ღმერთის, ერთმანეთს ვენდობით, ჩვენს სახლს სქელი კედლები აქვს, თან რუსიკოც უკრავს, იმან კიდევ, სანამ არ მოსწყინდება, გითვალთვალეთ და გაკვირვებას იყოს, ეს რა მშვენიერი ხნიერი მანდილოსანიაო, ეს რა დიდებული ვინმეაო...

ბაბო(: (ერთხელად გაიკისკისებს, კომპლიმენტი ესაიძინება) როგორ გამაცინე, ჩემო ნატო, (იცი-ნის ისევ) რაც მე კომპლიმენტები მომიხმენია, და არა მხოლოდ კომპლიმენტები, ფქვილს ნულარ დაყარი, აღადებისათვის საკმარისია, უფრო ფუმფულა გამოვა.

ნატო(: (აიღებს ფქვილის პარკს, მაგრამ, რა თქმა უნდა, აღადების კეთებაც და ცხობაც პანტომიმით უნდა მიმდინარეობდეს) მაშ, არადა?! თქვენ რომ იყავით, ტყუილია, (უხარია, რომ ბაბოს განწყობილება ისევ გამოუსწორა) ყველამ იცის თქვენი წარმტკაცო გიგნაფიონის ამბები! ალაზნის პირად ჰკინიკები და ღუნები... იმ პავიანს კიდევ, ამბობენ, ქალები ძალიან უყვარსო... მეტიმეტალო...

ბაბო(: (დაქანებით) დავებრდი თორევემ, თუ მომეწონებოდა, მე ვიცი, როგორც მოუვრეხედი კისერს, მაგრამ არ მომეწონებოდა, არავითარ შემთხვევაში, მე ვინც მომწონდნენ, ყველა ღამაში და მშვენიერი იყო, ყველა ისინი გეროი რომანა, თავბრუს რომ დაგახვევდნენ, ავაფთქებდნენ, ცაში ავაფრენდნენ... ღმერთო ჩემო, სად მიმოიფანტნენ, სად წავიდა ის სივთე-მაფე...

ნატო(: რას ვიხამთ, ბაბო, მუდმივი და უცვლელი არაფერია ამ ცისქვეშ...

ბაბო(: (დანანებით) და, და мужичины или умирают, или уходят... (და ისევ მოიღრუბლება და გაღიზიანდება) ნუ ვადაძვე, ქალო მაგ თქვეფავს, დაამატე სოდა, დაგაფიყდა, მარტო ფქვილი რო დაყარე?!

ნატო(: ახლავე, ბაბო, ახლავე, მაგრამ თქვენთან პაექრობაში ვადაყვრუვდი, სოდა სულ დამაივიყდა.

ბაბო(: (მწყრალად) პო და, დაამატე ეხლა და მორჩი! ის პავიანი კიდევ, იმას კი არ იფიქრებს, ეს რა მშვენიერი მანდილოსანიაო, რა შუშპარა იყოო, ხელებს რომ გაშლიდა და ღვეკურს ჩამოუვლიდა, ყველა მის ფერხთით ეცემოდაო, პირველ რიგში იმას გაიხსენებს, თავადაზნაურობას რომ ვეკუთვნოდი,

ჩემი ბიძაშვილი საშა, ქაქუცას უახლოესი მეფიცული, ქაქუცასვე გაჰყვა საზღვარგარეთ! და სხვათაშორის, ეხლაც ცოცხალია! (ისე გიროხად შესახებ, თითქოს საშას სიცოცხლე უზედურების ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყოს), და იმასაც, ჩემი დედ-მამა ისე უსინდისოდ, ისე თეთინებურად და სასტიკად რომ გამოდევნეს აწყურადან, ჩვენი მშვენიერი სახლ-კარიდან, ჩვენი შესანიშნავი კარ-მიდამოდან, და ჩემი ძმა დათა, ჩემი ბიძაშვილის ვაჟი ვახტანგი, წინააღმდეგობის განწყევლის რაზმელებმა შეიპყრეს და, როგორც მერე გამოირკვა, მეტეხში გადაგზავნეს... და შერ იცი, რა ბედიც ეწიათ... გადადგი ეხლა ვეცოში ალაღებისა, ცოტა გაფუდეს და სამოვარი დულილს რო დაიწყებს, მაშინ გამოაცხე, ვერ ვიტან გალელქებულ ალაღებს.

ნატო (ხუმრობით) ოპ, რა ხართ, ვინც არ გიციოთ?! (გადავამს თასს) საშინელება მოხდა... და მე რომ მკითხოთ, არანაკლებ გლეხობისთვის... თავადაზნაურობის გვერდით გლეხობაც სხვანაირი იყო, ადამიანი ხომ კარგი მაგალითით იზრდება და სხვა სიდარბაისლე, სხვა სიტყვა-პასუხი, სხვა ზრდილობა ჰქონდა ჩვენს გლეხობას, შორს რომ არ წავიდე, ჩემი დედამთელი, თქვენ რომ ასე მოვწონთ, ინგლისის დედოფალთან რომ მიიფვანოთ, არც სიტყვა შეეშლება, არც დაიბნევა, როგორი ღირსებათაც არის სასეც, ასეთივე დარჩება... და მთელი სიცოცხლე ის იფალოდან მაყაშვილების განდევნას მისტირის.

ბაბო (რა უცნაურად არის მოწყობილი ადამიანი, თავის დამკარგავი ხშირად თმას რომ დასტირის; ნიფხავ-პერანგანები რომ მოგაჯდუნენ ჩვენები აქ, მე და ჩემს და ლიზას, პირველ რიგში დედამ ის შემოგვტირა: ტყლაპები, ჩირები, მურაბები სულ ისე გაშლილი დაგვრჩაო... დაუკრფევაი ვენახისა და სახლ-კარის დამკარგავმა... მაშინ დათასა და ვახტანგის ამბავი ვერ ვარკვეული არ იყო.

ნატო (პო, ტყლაპები და მურაბები, დაუკრფევაი ვენახები და საერთოდ ყველაფერი... რომ დაესაჯათ ჩვენი თავადაზნაურობა ვითომ აჯანყების თანადგომისათვის. ხომ ჩვენს თვალწინ იყო უღანაშუალოთა დახვერტა ვიგოს-გორაზე, მეტეხში და სხვაგან და სხვაგან... და ჩვენი განადგურებული ოჯახები.

ბაბო (ოპ, ჩემო ნატო, არ ღირს, ჩაუღრმავდეთ გმირად შერაცხულთა ზნესა და საქციელს, კაცმა არ იცის ხელთ რა შეგრჩე-

ბა... მე ისევ ჩვენს გამოდევნას მინდა მკერბრუნდე და ჩვენი ვოიათვის ამბავი ვითხრა...

ნატო (გაბრწყინებული, რომ ბაბოს საბოლოოდ მოუხსნა შიშისა და თვალთვალის შეტევა) როგორ მაინტერესებს, რომელ ვოიატეს გულისხმობთ.

ბაბო (რომელსა და ამასწინად ნინული რომ იყო, ჩემი ბიძაშვილის ლადოს შვილი, ცამეტი წლის ნანათი, მომენტარაო, მომენტარაო აწყურით... სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარო... ოცდასამი წელია ჩვენი გამოდევნიდან, არ მინახავს იქაურობა და იქით მიხედვაც არ შემეძლოვო, ეხლა კი მომენტარაო... ნანასაც მინდა ვაჩვენო, ხომ უნდა იცოდეს საიდანა ვართო... აქაც შემოვიდნენ, დეიდა რუსუდანის უნახავი არ წავალო, ნინულიმა თქვა.

ნატო (რას მელაპარაკებთ, პირველად მესმის, მე რატომ ვერ ვნახე?)

ბაბო (ოპ, ნატო, ოპ, ნატო, რა მოსაკლავი ხარ, რომ წახვედი თბილისში ოპერაციის გასაკეთებლად და ჩვენ არაფერი ვიცოდით, გვერინა, სემინარზე იფავი წასული...

ნატო (დედამ ახლაც არ იცის და თუ ხათრი გაქვთ, არ წამოგვდეთ, არც რუსიკომ იცის... არ მინდა გაიგონ... (ბუფტიდან ჩაის ჭურჭლი გამოაქვს)

ბაბო (რა არის ასე მალევა და ჩქმალევა, ქალო, ვინ აღარ იკეთებს ოპერაციას?! მთავარია, რომ დროულად გაიკეთე, მორჩა და გათავდა!

ნატო (წამიზრად მიიღებუბა, მერე კი ისევ ხალხიანად) მეც ასე მინდა ვითქორო (ისევ ჩვეული ინტრეციით) მერე, მერე, რაო ნინული? ისევ სწერს მშვენიერ ლექსებს ბედკრულ სამშობლოზე?

სინათლე ჭრება, ერთი სხივით არის შუა სცენა განათებული, ახლოს რამასთან დგას ნინული, მას უკლიანი შლიაბა ზურავს, აფურული ზღვათმანები აცია, ვრძელფოჩიანი კრუბისფერი აბრეშუმის შარფი აქვს მხრებზე მოდებული, როგორც წინად ამობდნენ, პატეს ყურნალიდან გადმოსულს ჰკავს, მას გულზე აქვს მიჭდიობილი აფურულზელითამანეიანი ხელები და მღელვარე კითხულობს თავის საკეთარ ლექსს:

„ჩემო სამშობლო, ჩემო მამულო, შენი კენტყე კი ჩემთვის განძია, შენს სადიდებლად მე მოვილოცე წმინდა გარეჯი, წმინდა ვარძია. მე ვვევდრები ჭალარა ტაძრებს, ასე ნაკვეთი და ნაწვალეობი, გამოვარიღონ ხარბი მტრის კლანჭებს, და მეურა, მეურა, რომ აფავდები.“

დაცობრუნდება ძველი სილაღე,
დაცობრუნდება ძველი ღიღება,
შენი ვარსკვლავი, ბევრჯერ ჩამჭრალი,
ახალი ძლით ამობრუნდება.“

ბაბო და გეორგა ნანა ტაშს უკრავენ, ნინული, როგორც შუქურის ვეგამოსილ ქალბატონს, ნახად ხრის თავს, შერე კი ვლს მოიღერებს, ხელებს გაშლის და ომხიანად ბოწონებს ქალებს...

606შლი: ახლა კი ვაგწიოთ შშობლიური აწყურისაკენ, სადაც ბავშვობა, სიყმაწვილე გადავიმღერე.

(ისმის ზანზალაკების ხმა, სამივე მიჰქრის ვითომ ეტლით, გალაპის მსგავსი სტილიზებული ნაბიჯებით... სცენა ტრიალებს...)

ბობო/ნანა: თუმც არ მინახავს, ასე გეონია თვალდაბუჯული მივაგნებდი იქაურობას.

606შლი: (ალტაკებით) აქ ყველაფერი შშობლიურია, ალანხნის ველი, კაკკასიონი, და ჩვენი თურდო, რომელსაც ახსოვს შემოსეული ლეკების ურდო.

ბაბო: ავერ იყალთო, განდევნილი მაყაშვილების კობტა სოფელი.

606შლი: ო, როგორც წერდა ჩვენი პოეტი! ვეითხარი ნანა, გენაცვალოს შენი ღეიდა.

ნანა: საქართველო აივსო მაყაშვილთა ვოდებით.

606შლი: აწყურს არ ჰყავდა ასეთი პოეტი, თორემ... ჩვენი ვოდებაც კარგი რამ იყო... ოჰ, ლმერთო, არ მახსოვს, თეთრგვირგვინში მიმავალი მლოცველები არ გაჩერებულყვენ ჩვენს აყვავებულ კარმიდამოსთან და არ ვეითხათ: ვისიაო... არა მინდა რა, ჩვენს შობიბინე მწყუნებუ გამატარა...

ნანა: წალკოტი იყო, წალკოტი, ჩვენების ეზო-ურე.

ბაბო: აი, ჩვენი ასახვევიც... დათა და ვახტანგი დოღში რომ მონაწილეობდნენ... ვახტანგი პირველი მოვიდა...

ნანა: სულ თქარა-თქურით ამოათავეს ეს აღმართი.

606შლი: ფრთიანს ებახდნენ ჩემს ძმა ვახტანგს.

ნანა: მე და ლელა სულ ძია ვახტანგის ხსოვნას ვიფიკავთ.

ბაბო და **606შლი:** (სიხარულით შესახებ) ავერ ჩვენი თეთრი გვირგვინი.

უშუალოდ მათ წინ კი გამოჩნდება მაღალი და გრძელი ძეგლის ღობე. ბაბო და ნინული დახმუნული აქვით იყრებიან, მიდი-მიდიან, რომ თავისი ოდინდელი სახლები და ეზო-ურე იპოვონ, მაგრამ ამაოდ... ისმის ღობის აქიდან კრუხწიწილის კრიახი, ღორების ღრუ-

ტიკა, ძროხების ზეული, თხების კიკინი, ცხვრების ღეიღეი, — ქალები კისრებს წაიგრძელებენ, ხელავენ ღობის მუხრით მიწყობილ სახლებს.

ბაბო: რა დადგოვებია, რას ეძებ? (აბობს შუხარე სახით)

606შლი: (დაღონებული და გაწიბლებული) ნუთუ ეს ჩვენი ადგილია? ვერაფერი მიცენია... სად გაქრა ის ყველაფერი... რას დაუმსგავსებიათ აქაურობა...

ღობეში დატანებული პატარა კარიდან გამოდის ოციოდე წლის ჯანსაგარი, სქელკისერა ბიჭი, უწურებს ქალებს ჰაგატგამოკრული, უტიფარი შხერით და ხმას არ იღებს. ... შერე კი რთიოდ კითხულობს:

მუტრუპი: რაო, რა ვინდათ?

606შლი: (ენის ბორძიკით) გამარჯვობა, ყმაწვილო... ჩვენ... იცით... აქ ვცხოვრობდით... (აფრულხელთათმანიან ხელს ღამაზად მოატარებს) ეს ადგილები... აქაურობა... ჩვენი იყო... ჩვენ ძალიან...

მუტრუპი: (გაწყვეტინებს, რთიოდ) როდის იყო? როდინობის კვირაში? ჩვენა დიდი ხანია გავდევნეთ სოფლიდან შჩაგვრელები და სისხლის მშროვლები... (გორიზად ხელის წვეთი) ექსპლუატატორები! სოფლის წურბელები! (მუტრუკი შხრების ქანაობით აუღლ-ჩაუვლის ქალებს და მალაყზე გადავა).

606შლი: (მტკავებული ხმით) ჩვენა ვართ... წურბელები? რა საინტერესოა...

ნანა: (შეშინებული) წაივლეთ, წაივლეთ, გეხვეწებით...

ბაბო: (წყრობით) უჰ, შე უზრდელი, შენა! მადლობის მაგვირიაა, დაეპატრონეთ ჩვენს ავლადიდეებს და კიდევ აქეთ გეტყვენ!

მუტრუპი: (მუჭარით) ჰოდა, აუსეთ ეხლა აქედანა და აღარ წამოაოროთქლოთ ჩვენი იყო!! (შეხტება ისევ და მალაყზე გადავა).

ბაბო: ბიჭო, მუტრუკო, სახლში რო შებრუნდები, დედაშენს ერთი სილა გაულაწუნე, ვეთი მუტრუკის განჩინსა და გაზრდისათვის! ქალები გაჩქარებული გაღობით მიჰქრან... ნინული შეწერდება, წინ წამოვა.

606შლი: საღამო ხანი იყო, რომ შემოგვიცვიდნენ და დაგვაწიოკეს... ვენახში გაიქცეით, შეშინდა დედას, ვითუ ღამით გზაში ხიფათს გადაეყვაროთ, თან მამაც ახალი გარდაცვლილი იყო, ვახტანგი და დათა წაყვანილები. არადა, აწყურში გაუპატურების შემთხვევას ჰქონდა ადგილი, და დედას ძალიან ეშინოდა, ჩემ გოგოებს არავინ შეურაცხყოფა არ მიაყენოსო, ჰოდა მთელი ღამე ვახტანგის კვლებში ჩაწოლილებმა გავატარეთ, რიფარ-



ვამდე... და ერთი კუფხალი, წამლად ერთი კუფხალი არ შეგვიწვევია მტკვინისათვის და არ შეგვიჭამია... წარმოგიდგენიათ?

ნანა: არადა, ბუდეშური კი, თურმე უკვე მწიფდა...

ქალები კვლავ მოქირან...

ნინო: (ცნესით) ოო, რა უზრდელობა და მკვიდრდა... რა საყოველთაო უზრდელობა-წუხელაც, მატარებელში, ისე უხამსად ჩხუბობდნენ, რაღას არ ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ერთმა მეორეს ის სიტყვაც კი წამოაძახა „ა-“ ხე რომ იწყება... თან ისეთი რიხით!

ბაბო: (ჩაიჭრქვება) ჩემო ნინო, რა სიტყვა ასეთი გამოუთქმელი, „გავნო“?

ნინო: (ხელს გაასავსებს) უი, რას ამბობ, ბაბო, ვე რა თქვი, ქალო!

ბაბო: (გამოწვევად) მაშ რაა, „გოთვერა-ნო“?

ნინო: (შერაღად გაიჭვს თავს) ეს რა ცუდი სიტყვების თქმა გისწავლია, ბაბო! ნანა, გენაცალოს დეიდა, ჩასწორებ, ჩასწორებულე ფრთში, რაკი ასე აინტერესებს.

ნანა და ბაბო სცნებდნენ გადიან, ნინო კი ისევ წინ წამოვება, ხელს გაიწვდის და შთაგონებით ამბობს:

ნინო:

*აგერ, ჩვენი სალოცავი თეთრი ვიორჯი...
გეშუდარები, ვოვლის შემძლეო,
შთაგებერე ძღოა,
გადაფარე საქართველოს წყალობის
კალთა,
ავიესოთ რწმენით, ათი მცნება
გავითავისოთ,
განვიწმინდოთ და ზრდილობით, სიკეთით
და გონიერებით
კვლავაც აღვიესოთ (სინათლე ქრება).*

ისევ ნატოს სასადლო ოთახი, ნატო აღადებს აღავებს იფიქრებ, სამოიარი მოაქვს, მაგიდაზე ღვამს...

ნატო: და ჩავგორწულა ნანამ ის ცუდი სიტყვა?

ბაბო: (გაიცინებს) ჩამწურწულა, ჩამწურწულა... და ეს სიტყვა იყო „გათახსირებული“ (აღლდება) გათახსირებული, გათახსირებული, და მე ვიცი, ვინც არის გათახსირებულიც და იმაზე მეტიც, (აღებს ალაღს და შეჭამს) კარგი გამოვსკვლია, ფუმფულაა (წამოვება, ფრთხილად მოუხლოდება დარბაზში გამავალ კარს, გაიხედავს და მანძივ მიზურავს კარს).

ნატო: (არ შეიძინებს ბაბოს აღლევებას, ჩიხს ასხამს) მობრძანდით, ბაბო, ნახეთ რა სურნელოვანი ჩაი დავაყენე, აი, ეს ვარდის მურაბაც, აღადებს როგორ მოუხდება...

ბაბო: აშკარად გავიგონე ნაბიჯების ხმა (აურადებს), ნუთუ შენ არ გავიგონა?

ნატო: ვერაინ შემოვიდოდა ბაბო, ვერაინ ავინ, სადარბაზოს კარი დაკეტულია, დედა ეხოვდნენ მოვა. ახლა კი მაგიდასთან მობრძანდით, ნახეთ, რა სურნელოვანი მურაბაა (ეთომ ვერ ამჩვენებს ბაბოს ამგვილ სახეს), აბა, მიირთვით, ხომ იცით, ჩაი ხშირად მაგიურად მოქმედებს, სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალებაა... ნახეთ, როგორ გესიამოვნებათ!? მართლა მშვენიერი გამოუვიდა დედას ვარდის მურაბა...

ბაბო: (აურადებს, თანდათან შემოივთება ვაჭრება) არ არის ეს, ნატო, რა არის, წამიწუთს მეცვლება გუნება, ერთბაშად მომიცია აფორიაქება, ნინულის მოგონებამ თითქოს გამომიკეთა განწყობილება და ახლა ისევ... ისევ... წილან სახლში რო გავედი, შეგონა ერთ-ორ პაციენტს მაინც რაღაცას გავუკეთებდი და აბა!? (ცოტას მოხვამს და იჭვე ციფლ დაღვამს).

ნატო: (შეწუხებით, დაყვებით) ბაბო, იცით, მე რა მოვიფიქრე, პაციენტების მიღების დროს, თუ მე შეცვლება, მე გადმოვალ თქვენთან, თუ არადა დღეაქვს უუთხრათ, გადმოვა და თქვენთან იქნება, მარტო რო არ იყოთ...

ბაბო: (შეშინებული) ესე იგი, მე არ მოვიდე თქვენთან? აღარ მოვიდე? აღარ?

ნატო: როგორ არ უნდა მოხვიდეთ, მე ვამბობ მიღების დროს, პაციენტები რომ არ დაკარგოთ... თქვენისთანა ექიმმა! ყველაზე უარესი ხომ ეს არის, კაცი მოწყდეს თავის საქმეს...

ბაბო: (ამაჯად) ჩემი ფასი ყველამ იცის, ჩემო ნატო, მე არავის დავკარგავ!

ნატო: ძალიან კარგი, მეც ვე მინდა, მაგრამ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და აბა, რას იზამენ? მე თქვენ გეტყვით, ცოტა სტომატოლოგია ამ ჩვენს ქალაქში?! კენჭი რომ გადააგდოთ, სტომატოლოგს მოხვდება... თქვენ კიდევ გუშინაც გაუშვით, იმდღესაც გაუშვით... ვინდათ დისკალიფიკაცია განიცადოთ, ეს ვინდათ? ყველაზე უარესი, რაც შეიძლება კაცს დაემართოს!

ბაბო: (დამძლურულივით წამოხტება, შემოხვევით ფინჯანს კრავს ხელს და გადააბრუნებს) მე განვიცადო დისკალიფიკაცია, მეც, მეც?! ვარშავაში საუკეთესო პროფესორებთან მაქვს ნახწავლი! ვინ არის აქ ჩემისთანა, ვინა! (ნატოს მოუხლოვდება, ხელს წაავლებს) გააღე პირი! გუებნები, გააღე პირი! (ნატო თავს გადასწევს, უნდა მოივიროს ბაბო, მაგრამ ამაოდ, ბაბო ნიკამში ჩააფორინდება და

ძალად აღვიბნებს პირს) ჩავიხედო შენი პირის ღრუში, შევამოწმო ჩემი გაკეთებული ხიდები და პლომბები! ოპოპოპო, საყურებლად ღირს! აი, უყურე, სტუდენტი იყავი, შეგქვე კბილი რომ დაგიმუშავე და ოქრო გადაგაკარი, ან ამ მუთხზე, მეზუთე კბილების ბეჭენებს შეხედე, ქვა და კლდე! იცი, რა ძნელი კბილებია, რა წინდა, ნემსით არხები აქვს... ან ეს ხიდი, ზედა ვაზზე! რამდენი წლის წინ! მე უნდა განვიცადო დისკალიფიკაცია? მე? მე? კაცს გაუზარდება შენს პირის ღრუში ჩახედვა, ნამდვილი ინტელიგენტის პირის ღრუ, და თურმე უნდა განვიცადო!

ნატო: (როგორც იგი მოიშორებს ბაბოს ჩაფრენილ ხელს, აიღებს ფინჯანს, ტილოთი წმენდავს მაგიდას) კარგი, ბაბო, გეხევევებით, დამშვიდდით! (უწყოდ) არ უნდა განვიცადოთ, თქვენ ეგ არ გემუქრებთ... მე... ისე ვითხარით... რომ გულისხმავი ჩამგდეთ... თქვენ... უბრალოდ პაციენტები... არ უნდა... გაუშვით... ჯერ დღე და ღამე ვასწორებთ და რა გვაქვს, რა გვაბადია, და თუ ვერ ვიმუშავეთ, მაშინ გამოვიცხებთა კვერია... (მოხვამს ჩაის, ხელს მოითქვამს) ხომ არ გინდათ, არაა, თქვენს მძისმვილ ღიას დააწვეთ, როცა ასეთი ოქროს ხელები გაქვთ... (არ უნდა შეიშინოს, რომ ფინჯანის გაბზარვა ეწყინა).

ბაბო: უკ, კრიჭა შემეკრება ხოლმე... ღმერთო, რა სკროპულოზურად ვიცი საქმის კეთება! მარადი? ან ის ვირკამეზა შალიკო! ან თუნდაც ის ნაქები ვარია... არხებში არ ჩადიან, არა! მიაფიშფიშებენ და ეგ არის იმათი მკურნალობა! რამდენი იმათი გაფუჭებული საქმე გამომისწორებია, მაშინვე ჩემთან გამოვბიან... და ბავშვები? პირს რომ არაუვის უღებენ, სხვან მომუწული პირით, კრიჭაგაკრულები, მე ერთი გადავუსვამ თავზე ხელს, ერთს გავაცილებ, მაშინვე მიღებენ პირს, მაშინვე! უბრალო ამოკენსაც კი ჩემს კაბინეტში არაუვის გაუვია, ვანა თავმდაბალი ადამიანი რომა ვარ, ჩემი ფასი არ ვიცი?! ნურას უკაცრავად!

ნატო: თქვენი ფასი ყველამ იცის... თან მიერთვით, ბაბო, ჩაის ნუ გააციებთ, თქვენ ხომ ქაფაფა ვიყვართ...

ბაბო: (შემრწუნებით ხელს გადააკრულებს) ვილაც გვიანხლოვდება... ვილაც კი არა, ის კაცო... ის... (სწრაფად აიღებს ალას და უცებ შეჭამს).

ნატო: (უკლერესად შეწუხებული) ბაბო, რას გეტყვით, იცით, მე ონკოცენტრში მითხრეს,

ერთი ათი დღე მაინც აუცილებლად უნდა დაისვენოთ, იქნებ წავსულიყავით სადმე, ან ბორჯომში, ან ზღვაზე, დარწმუნებული ვარ, გადავივლით ეს აფორიაქება, არადა ერთად გაუშვებოდავებით ცრუსა და მავნეს, ვინც თქვენ გაფორიაქებთ! აი, ნახათ თუ არა!

ბაბო: რას იტყვი, ნატო, რომელი ყარამან ყანთელი შენა ხარ! (გაბრაზებით) ცრუ მამაცი ხარ და მეტი არაფერი, სინამდვილეში კი შიშისაგან ქვემ იფსამ, ჩვენ ყველა ჩაფხმულები ვართ და...

ნატო: გეხევევებით, არ განაგრძოთ, ვერ ვიტან უხეშობას!

ბაბო: (დაცინვით) ოჰ, მეორე ნინული, პამპლაუქობ და მეტი არაფერი!

ნატო: (გაწაილებით) ეს შეურაცხყოფა რაღაა ვითომ...

ბაბო: იმიტომ, რომ შენისთანა მშიშარა მეორე არც კი ვიცი!

ნატო: (უწყოდ) მართალია, მე მშიშარა ვარ, მაგრამ არცერთი დღე არ დამიკრეფია გულხელი, არცერთი! მხოლოდ შრომით შეიძლება შევიძლო შიშს, აი, ეს არის ჩემი დევიზი!

ბაბო: (ნიშნის მოკვებით) აქამდე ვერ მიპატიებია შენთვის! ამდენი ხანი გავიდა და ვერ მიპატიებია!

ნატო: (შეგბარა) რას გულისხმობთ, ბაბო, რას, გამაგებინეთ ერთი...

ბაბო: (ხელს აღმართავს და მაკრად შესახებს) მიტრო! მე რომ მიკვირებ მიტრო მეზობელი! მაშინ არ იყო მეზობელი? საწყალმა ვანომ ციხიდან თავისი ქურჭი რომ გამოვიგზავნათ მიტროს ხელით, დამიკრეთო, და არაფერი დასაკრებელიც არ იყო, და ვანო, ცხადია, ფულის დაკრებას გულისხმობდა! და შენ! შეგეშინდა! ასეთი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვი! რომ არ გიცნობდე, ჩემს ხელში და ჩემს თვალწინა ხარ გაზრდილი, მეგონებოდა ფული დაგენანა ციხეში გამოშვებულს! საკუთარი ქმისთვის! შენ კი შეგეშინდა, და შიშმა გამოუსწორებელი შეცდომა ჩაგადენინა, აი, თუ სიმატლე გინდა, ეს არის, ვინ იცის, ის ფული წაადგებოდა საწყალ კაცს...

ნატო: (შეტყუებული, თანდათან ეპატება საწოლს) კეთილია, ბოლოს კი ცრულები ახრბობს) რატომ მომაგონეთ, ბაბო, რატომ... მე ისედაც ვერ ეპატობ ჩემს თავს... რომ წარმოვიდგენ გამაღა თავისი ქურჭი და არც ჯიბეებში, არც სარჩულზე ვერაფერი ნახა, ვიტანჯები... არ შემ-

იძლია ამისი მოგონება... მართალია, მაინც ვერ ვნდუ მითროს, რომ გაიგონ მეთქი, მეც ხელი მტაცონ, დარჩნენ დედა და რუსიკო უჩემოდ, უწუგეშოდ, მე შემომყურებენ, მე... მაგრამ ვანოს თილისშიც ვერაფერი შევუგზავნეთ, ეს მიკლავდა გულს... მთელი ღამე ზინგერს ატრიალებდა დედა მარუსა, ნინუცა კიდევ უხვევდა, თბილ საცვლებს უკვრავდნენ ვანოს შესაგზავნად... მარუსა და ნინუცა, მაყაშვილები, სტუდენტობისას ვანო ხომ მათთან ცხოვრობდა ვერაზე და ძალიან უყვარდათ... ჩვენ კიდევ, მე, ანეტა და ლალო რიგში ვიდექით ორთაჭალაში. ერთმანეთს ვენაცვლებოდით, მაგრამ გავიფიჩხეთ, საშინლად ჰყინავდა... და დილით... ვერაფერი შევუგზავნეთ... არ მიიღეს... ჩვენ მაშინ არ ვიცოდით... არა... რომ (სიტყვა უწყვეტა, ცრემლები ახრბობს) ოპერაციის წინა ღამეს არ შეძინა... გათენებისას ერთი წუთით ჩავთვლიძე და ვანო ვნახე... ისე ცოცხლად... ისეთი ღამაში იყო... ნუ გეშინიაო, ყველაფერი კარგად იქნებაო... (ცდილობს, გაიღმოს).

ბაბ(7): (უნდა გააქარწყლოს, ახეთი ტკივილი რომ მათენა ნატოს) ჩემი პატარა გოგო, არა, არა, ეს წარმოდგენელია, ჩვენ რომ დავკვიძალე და არაფერი გვითხარი, ხომ ჩამოვიდოდით, აუცილებლად ჩამოვიდოდით და თავზეც დაგადგებოდით... დიდი გულდახსურული ვინძე ხარ, ვინც არ გიცნობს...

ნატ(7): არა, ყურადღება არ მომკლებია, ყველაზე მეტად კი ჩემი დედამთილის ყოფნა მსიამოვნებდა, ვუბნებოდი კიდევ: თქვენ მოწოდებით მოწყალების და ხართ მეთქი... თქვენ რაღატომ უნდა შემეწუხებინეთ...

ბაბ(7): (აღლევებით) ოპ, ნატო, ნეტაც მე ვინც მაწუხებს, ის არ მაწუხებდეს, რა უნდათ ჩემგან, რა... (ერთბამდ თითქოს პროსტრაციამე ჩავარდა) მე ვიცი რაც უნდა... საითაც მიბიძგებს... ოოო, ის მზაკვარი ისა... იმას უნდა გამოვლო ჩემი წამლების კარადა... ავიღო...

ნატ(7): (შემინებული გააწვეტინებს ბაბოს, სულ დააწყვება თავისი ამაგი) ბაბო, თქვენ დღესვე უნდა წახვიდეთ გაიოხთან! მე მზად ვარ გამოვყვი! აუცილებლად და ყოველ მიზეზ გარეშე! არ უნდა გადავლოთ! ან აქამდეც სად ვიყავით და რატომ არ წაყვდით?! ხომ ხედავთ, მე ვედარაფერი გამიწყვია, ჩემი სიტყვისა ჯღარ გვერათ.

ბაბ(7): (შეგროთილი და შეურაცყოფილი) რა მინდა, ჭალო გაიოხთან! რა შუაშია გაიოხი! გამავებინე! შენ გგონია მე არაადექვატურად

ვამბოზ რაიმეს, ან არაადექვატურად ვიქცევი? ნატ(7): (წყნით) როგორ, სამარცხენოდ მიგაჩნიათ გაიოხთან წასვლა? ექიმო, მაინც არ იყოთ, მიკვირს სწორედაც თქვენგან!

ბაბ(7): (გოროხად შესასხებს) შენ წადი, შენ წადი, თუ კარგია!

ნატ(7): მე როცა გამიჭირდა, წავედი კიდევ! და სხვათაშორის არაერთხელაც! მაშინ... მაშინ... აკვატებულად უდაბურ მინდორს ვხედავდი... და სულ სროლის ხმა მესმოდა... როგორც ოცდაოთხში, გიგი რომ დახვრიტეს, გიგოსგორიდან რომ ისმოდა გარიყრაყზე სროლის ხმა... (ისბას სროლის ხმა...) დმერთო ჩემო, არც ვიცი, გაიოხი რომ არ ყოფილიყო, რა მეშველებოდა, სწორედ იმის შემდეგ ვერ წარმომიდგენია, გამიჭირდეს რამე და გაიოხს არ მიემართო... ეს უნდა გწყნოდათ? კულტურულ ადამიანს, ესა? თანაც ისეთი პიროვნება, როგორიც გაიოხია!

ბაბ(7): არავითარი გაიოხი მე არ მჭირდება! ჩემი წარმოდგენები უფრო ადექვატურია ვიდრე ჩემი მეზობლებისა და ნაცნობებისა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შიშს დესპოტურ სახელმწიფოში საფუძველი არა აქვს!

ნატ(7): საბოლოოდ ვრწმუნდები, რომ თქვენ დემაგოგი ხართ.

ბაბ(7): მე ვარ თუ შენ, გიყების ექიმთან რომ მაგზავნი!

ნატ(7): არ გეკადრებათ, ბაბო, არ გეკადრებათ, სულთ ავადმყოფს „გოტი“ უწოდოთ, ისე კი ჩვენ ყველა, ვინ ამდენად, ვინ იმდენად, სწორედაც გიყვით ვართ, შეუძლებელია, ათუელი წლობით თრგუნვამა და პრესის ქვე ყოფნამ არ გამოიწვიოს ფსიქიკის დეფორმაცია, ტვინი რკინისა კი არ არის! ისე რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი დროდადრო სწორედაც უნდა დადიოდეს გაიოხთან!

ბაბ(7): (გაბრწყინებული შესცქერის ნატოს) მივხვდი, მივხვდი! შენ გატაცებული ხარ გაიოხით, იქნებ რომანიცა გაქვს და ვინდა ავადმყოფები მოუმრავლო, მითუმეტეს, ჩემისთანა შეძლებული ავადმყოფები! ესლა ყველაფერი გასაგებია, და არც გამტყუნებ!

ნატ(7): (გამტყნარებული, მშრლად) მადლობთ, ბაბო, დიდი მადლობა...

ბაბ(7): ვითომ რას იტკიცე? ვარდებს უნდა შესტრფოდე და კაცებს არა?! წარმოდგენელია განა, ახალგაზრდა, მშენიერ ჭაღს რომანი ჰქონდეს? დაუშვებელი სწორედ ის არის, რომ არა ჰქონდეს!

ნატ(ო): კარგით რაა, ბაბო, არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი!

ბაბ(ო): ხომ ვთქვი კიდევ, შენ ყოველთვის გულდახურული იყავი! და თუ იმასა ფიქრობ, რომ ლილი შენი მეგობარია, რა მნიშვნელობა აქვს ამას? რაა მერე...

ნატ(ო): (ძლივს იკავებს აღშოთებას) იცით თქვენ ძალიან კარგად, რომ ჩემთვის ეს გამორიცხულია! ჯერ საერთოდ და მითუმეტეს, ჩემი მეგობრების ქმრებთან!

ბაბ(ო): (თითის ჭრებით და ანცი ღიმილით) თუ ეს ასეა, ძალიანაც ვწუხვარ! რატომ უნდა იყო მარტო, რატომ უნდა გაანიორწყლო შენი ახალგაზრდობა?!

ნატ(ო): (ცოვად) ეგ იმათ ჰკითხეთ, ვინც ვანო წაიყვანა ისე უსამართლოდ, ტყუილუბრალოდ... უსინდისო მკვლელები...

ბაბ(ო): ხომ იცი, როგორ მიყვარდა ვანო, რა შესანიშნავი პიროვნება იყო, მაგრამ ათი წელი გავიდა... ათი წელი... მაშინ ამიხსენი, როგორ ძლებ, გენაცვა, უსიყვარულოდ? როგორ?

ნატ(ო): ვინ ვითხრათ, რომ უსიყვარულოდ! თქვენ სიყვარული ფლობის გარეშე ვერ წარმოიდგენიათ... ჩემი ცხოვრება კი ასე აეწყო... ვანო ხომ გიგის მეგობარი იყო და გიგის დახვერტის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო შევეთვისეთ ერთმანეთს, გამსჭვალული ვიყავით გიგის ხსოვნით და არცერთი წუთი არ შეგვეძლო გაძლება უერთმანეთოდ, მაშინ სტუდენტები ვიყავით და დრო თუ ვაკონდა, ერთმანეთის ლექციებსაც ვესწრებოდით... ვანო ხომ ძალადი იყო და ხუმრობით მეუბნებოდა ხოლმე, ასეთი ტანმომცრო რომ ხარ, კიდევ მეტად მიყვარხარო, და სიცილით დაამატებდა, არასდროს დაბერდები. მე არცერთი დღე არ ვყოფილვარ უსიყვარულოდ, ბაბო, მთელი სიცოცხლე საგზლად გამეყვება ეს სიყვარული.

ბაბ(ო): კი, ბატონო, სიყვარული, სიყვარული, მაგრამ როგორ დაეიჯერო, რომ კაცი არ გენატრება. ეს ხომ წარმოუდგენელია! (ღამის აღშოთებას).

ნატ(ო): კაცი? რას ქვია კაცი? მე, მე ჩემი ქმარი მენატრება... ძალიან მენატრება... ცოცხალი რომ ყოფილიყო... უფლება რომ მოეცათ... ქვეყნის დასაღიერამდე ვივლიდი, ოღონდ კი მენახა... ოღონდ კი ერთად ვყოფილიყავით...

ბაბ(ო): ოჰ, ნატო, ოჰ, ნატო, გამოდის, რომ მთელი სიცოცხლე შენ ერთმანეთში ურვედი

სიყვარულსა და სექსს... და ძალიანაც სცდები...

ნატ(ო): (იღინის) მე ვურვედი, თუ თქვენ ურვედით, ჩემთვის სული და ხორცი განუყოფელია. მოდით, ნუ ვიკამათებთ, ჩვენი შეხედულებები სიყვარულზე და ერთგულებაზე გამორკვეულია.

ბაბ(ო): და რა თქმა უნდა, გულში მძრახავ და მამტყუნებ ჩემი შეხედულებებისა და ჩემი გავლილი ცხოვრების გამო... ეჭვი არ მეპარება, რომ მამტყუნებ!

ნატ(ო): არავითარ შემთხვევაში! ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, თვალი რომ გაგახილეთ, თქვენ დაგინახეთ და თქვენს წინ ვარ გაზრდილი.

ბაბ(ო): არა, არა, შენ ვასო გიყვარდა, ვასო იყო შენი ნათლია, და რა თქმა უნდა, მოგაჩნდა, რომ მე ვასოს ვლალატობდი, არადა, ვასო მთელი სიცოცხლე, ბოლომდე მიყვარდა, და მე ვასოსთვის არ მიღალატია, რადგან გატაცებუბი მე ღალატად არ მიმაჩნია! და საერთოდ, რა არის ღალატი? რა შუამია ღალატი?

ნატ(ო): (სიცილი აუტყდება, უნდა რაღაც თქვას და ვერ უთქვამს, ახველებს განგებ, ვითომ კულჩის ნამცეცი ვაღსცდა) პოდა... ნუ ვიკამათებთ...

ბაბ(ო): (იქედნურად) რა დასანანია, რომ შენისთანა ნიჭიერი ადამიანი, ასე არასწორად აზროვნებ, მეოცე საუკუნეში განა წარმოსადგენია ასეთი დახავსებული, ასეთი პროვინციული შეხედულებები გქონდეს? და რუსიკოსაც ასეთი შეხედულებებით ზრდიდე! ანუ ფარისევლურად!

ნატ(ო): ვთხოვთ, ბაბო, ნუ გალიზიანდებით, მე „ვეფხისტყაოსნის“ კულტურაზე ვარ გაზრდილი და არცა ვნანობ, თქვენ კიდევ ევროპაში გაქვთ სწავლა მიღებული და სთვლით, რომ კაცობრიობა თავისუფალი სიყვარულისკენა და ლოგინიდან ლოგინში ზტომისკენ მიაბიჯებს ადლიანი ნაბიჯებით.

ბაბ(ო): და ძალიანაც კარგი! ვასოც კი, რომელიც რამდენჯერ შენზე უფროსი იყო, და თანაც კაცი, — და კაცები ხომ საერთოდ რეტროგრადები არიან, — თანამედროვე შეხედულებებით იყო გამსჭვალული... როგორი ფართე პორიზონტი ჰქონდა! აფსუსს, აფსუსს, არ გამოძვლოდა ხელიდან?!

ნატ(ო): თქვენი ჩიჩინით, ბაბო, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ჩიჩინით და ისიც თეორიულად... პრაქტიკულად კი, მტკოვებით, მაგრამ უნდა ვითხრათ, ნეტავ გენახათ, თქვენ რომ

ვინმე გულის ვარდი მოგივიდოდათ, ვითომ პაციენტად, მია ვასო გამოვიდოდა ჩვენთან, ჩემს ნათლულთან ნარდი მომენტარაო... თქვენ იცით, მე ვერ ვიტან ნარდს, და ვერც კარტს, მე ვერ ვიტან ასეთ გართობას, მაგრამ ისე წავიდა მია ვასო, არასდროს მიგრძობინებია, რომ არ მინდოდა ნარდის თამაში, ... ისეთი შეკბუნებული იყო, ისეთი გამტკნარებული, ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ თქვენ მორიგი განცდების მორევში იყავით ჩაძირული, და რა ვქნა, მთელი ჩემი არსებით ეუთანავარძნობდი მია ვასოს...

ბაბო: ტყუილი, ტყუილი, ტყუილი, ვასო ისე შემოძვინებოდა, ისეთი ბედნიერი იყო ჩემს ვეერდით, ასე შენი შეხედულებების გამო გეჩვენებოდა! და საერთოდ, ქალისა და კაცის ურთიერთობიდან სიტყვა „აღლატი“ ამოსაღები და გასაუქმებელი სიტყვაა, ხან ერთს შემოაწყდება საფანელი, ხან მეორეს, განა ეს ღალატია? და ვიდრე ვერთწოდებულ პატროსან ქალებს შურდეთ სხვისი ვნებებისა, სჯობს, ამოძვინენ დახავსებული ნაჭუჭიდან და ბედს ეწიონ! მე ეჭვი მეპარება, ნატო, რომ შენმა არაადექატურმა შეხედულებებმა მიგიფანა მაგ ოპერაციამდე, თუ სიძარითლე გინდა ეს არის!

ნატო: თქვენა, ბაბო, თქვენ რამ მიგიყვანათ?

ბაბო: (აღღვებული მაშტრდება ნატოს) ნუთუ არ გესმის? ხან აქედან ისმის, ხან იქიდან... დაფრუდო, ნატო?

ნატო: ეხლა თითქოს მეც გავიგონე... ნაბიჯები ახლა უკვე მკაფიოდ ისმის...

ბაბო: (ფანჯარაში გაიხედავს და სიცილი აუტყდება, იცინის, იცინის, ხელს ფანჯრისკენ იშვერს, ვარდნარისკენ და ღამის ისტერულად იცინის) ავერ, ავერ! ნატოც გაიხედავს ფანჯრისკენ და გამეშლება: ვარდნარში, თითქოს მაწიდან ამოიზარდაო, პენსიანი კაცი. მის შავი, ვიწრო პალტო თუ პლაშში აცვია, შავი შლამა ზურავს, მაღალია და ელექტური, ბაღების მოცეკვავესაო, და სწორედ მოცეკვავესაო, იღეთუბით მოძრაობს ვარდებს შორის, ხელებით თითქოს პასები გამოჰყავს... შუზე პენსე ელვარებს... კაცი მრუსულვით ჩერდება ხან ერთ ვარდთან, ხან მეორეთთან, ხან შესამესთან. მოხიბლული დაჰყურებს, თითქოს ესეყარულება და ფროსავს... ნშიად სახეზე რაღაც უენაური დიმილ დასთამაშებს...

ნატო და ბაბო ერთმანეთისკენ მიდიან, ხელებს ჩახჭილბენ ერთმანეთს, უტყვალ მიხურებიან პენსიანს... ბაბო ნიშნის მოგებით გადახედავს ნატოს, აი, თუ არაადექატური წარმოდგენები მქონდაო.

ნატო: (ღამის წურხლით) წარმოიდგენდით, რომ ასე ჰყვარება ვარდები? უყურეთ, უყურეთ, ცისფერ ვარდთან რამდენი ხანი გაჩერდა ეს ხომ მიუწვდომლობის სიმბოლოა...

ბაბო: მე ეგენი ყველაზე პრიმიტიულები მეგონნენ.

ნატო: (შეფქიანებული) რა ვქნათ, ბაბო, ჩაიზე ხომ არ მოგვეწვია?

ბაბო: უყურე, უყურე, როგორ მოსწონს თეთრი ვარდი... თავი დაუკრა... ჯკონის...

ნატო: უცოდველობის სიმბოლოა თეთრი ვარდი...

პენსიანი კაცი მართლაც ნახად და საუთად ჯკონის თორ ვარდს და იჭედა სახეზე სარკასტული სიცილი გადაყინება, სახელდახელოდ, ელექტური მოძრაობით იხსნის შავ პალტოს, იხსნის შარავს... აღტყნებული იცინის, პენსნეს აღეყარებს და ვარდებს ცეკვა-ცეკვით აუსამს...

ნატო: (სასწორკეთილი) დმერთო ჩემო; რა საშინელებაა... (თალებზე ხელს ათფარებს).

პენსიანი კაცი კი კამარას შეტრავს, პერში შეითამაშებს, დატრიალება და ქრება. ქალები ერთ წუთს გამეშვებულები დგანან, მერე ნატო თავში შემოიკრავს.

ნატო: ახლავე, ახლავე უნდა წყლით გაგებანო ჩემი ვარდები!

ბაბო: (გაოგნებული) მეც წავალ... მეც წავალ...

ნატო: მამატეთ, ბაბო, არ შეიძლება ვარდების ასე დატოვება, მეშინია საზიზღარი სუნი არ გაუჯდეს (გაღის გარეო, მას ბაბო მისდევს).

ბაბო: (აღრსიანად, თან სევდიანად) ნატო, გენაცვალე, თავს გაუფრთხილდე... (ისე უყურებს, თითქოს ეთხოვებაო) გითხოვ, თავს გაუფრთხილდე...

ნატო: (კატეგორიულად) არა, არა, არცერთ ვარდს არ გაუშვებ, რომ არ გაგებანო!

ბაბო ერთხანს ნატოს უყურებს, რომელმაც ეს არის დასტავა ხელი სარწყავს, მერე მიბრუნდება, სამეზობლო კარისკენ მიდის, ცოტას გაიჯღის, ხალათის ჯიბიდან პატარა შუშას ამოიღებს, ხელის გულზე გადმოიყრის ფხენილს და ის არის, პირში უნდა ჩაიფაროს, ნატო თვალს მასწირებს, გამოიქცევა, ხელს აუკრავს და დაბნევიანებს.

ბაბო: არ მინდა სიცოცხლე, არა. სწორედ-დაც უნდა მოგკდე! (ისევ იღებს ჯიბიდან შუშას, მიბეილაობენ ქალები, ნატო გამოვლევს დარიშხანია შუშას).

ნატო: (უფერის) მართლაც და მართლაც გყვით თავს გასვლა! ახლავე მიშველით ვარდების გაბანვას. ახლავე! ვალდებული ხართ.



იმდენი ქენით, სანამ ის ეშმაკი არ გამოიხშეთ!
სანამ ჩემი ვარდები არ შეაბილწინეთ! თან,
სხვათა შორის კუხნეცოვის ფინჯანიც გადა-
ავდეთ და გაბზარეთ! ახლა კიდევ უნდა
დაგიტიროთ არაა! არავითარ შემთხვევაში! გა-
მომართვით ეს სარწყავი!

ბაბო: (მხრებს ჩამოფრის, ნატოს ყვირილზე მოი-
ბღუნება, დაემორჩილება, გამოართმევს სარწყავს, დაფ-
ვავებით უბნება) პოო... კარგი... კარგი... ნუ ნერვ-
იულობ... შენთვის ნერვიულობა არ შეიძლე-
ბა...

ნატო: მადლობთ ზრუნვისათვის... (თვი-

თონ მეორე სარწყავს აიღებს).

ბაბო: (ჯერ აბუზული ამოუდგება მზარში ნატოს,
თანდათან გაიმართება წელში) ოპ, ნატო, რააა ნატო,
რა აუტანელი ხარ...

ნატო: (სიცილით) თქვენა? ბლის კუნწუ-
ლა! (განზე გავა და ეძახის თავის შვილს) რუსიკოო,
რუსიკოო, ცოტა ხნით მეცადინეობას მოეშვი
და ბრამსის მეზუთე ცეკვა დაგვიკარი მე და
ბაბოს, გესმის, ვთხოვთ!

ახლა უკვე ხამაღლა ისმის ვილინოს ხმა და
ბრამსის „უნგრული ცეკვა...“ და სწორედ ამ რიტმზე
ქალები იწყებენ სარწყავებს.

